



## 2021 წელს განხორციელებული დეკლარაციების

### მონიტორინგის შედეგების ანგარიში

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო სამსახურის ბიურო 2017 წლიდან ახორციელებს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგს, რომლის ფარგლებშიც მოწმდება კანონმდებლობის საფუძველზე შერჩეული თანამდებობის პირების მიერ ქონებრივ დეკლარაციაში შეტანილი მონაცემების სიზუსტე და სისრულე.

2021 წელს, „შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 თებერვლის N81 დადგენილების შესაბამისად, წლის განმავლობაში შესამოწმებელი თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შერჩევისათვის დამოუკიდებელი კომისიის შექმნის მიზნით, ბიუროს მიერ გამოცხადებულ მოწვევაზე, 2020 წელს არც ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას და აკადემიური წრის წარმომადგენელს არ შემოუტანია განაცხადი, რის გამოც კომისია ვერ შეიქმნა და შესაბამისად, შემოწმებას დაექვემდებარა მხოლოდ დეკლარაციის მონიტორინგის ელექტრონული სისტემის მიერ დეკლარაციების შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შერჩეული და დასაბუთებული წერილობითი განცხადებით მოთხოვნილი თანამდებობის პირების დეკლარაციები.

კერძოდ, შერჩეულ თანამდებობის პირთა რაოდენობამ შეადგინა სულ 282 თანამდებობის პირი, რაც არის 5% ბაზაში დაცულ 5640 დეკლარაციიდან. ასევე, შესამოწმებელ დეკლარანტთა სიას დაემატა 21 თანამდებობის პირი, რომლებიც სისტემაში აისახა წარმოდგენილი დასაბუთებული წერილობითი განცხადების საფუძველზე. შესაბამისად, 2021 წლის განმავლობაში შესამოწმებელი დეკლარაციების ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 303. მათ შორის, პარლამენტის წევრი - 12 (7 დადებითი, 5 ჯარიმა), საქართველოს მინისტრები და მინისტრის მოადგილეები - 5 (2 დადებითი, 2 ჯარიმა, 1 გაფრთხილება), აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრები და მინისტრის მოადგილეები - 1 (1 დადებითი), აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები - 1 (1 დადებითი), საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები - 21 (12 დადებითი, 4 ჯარიმა, 5 გაფრთხილება), სსიპ-ების ხელმძღვანელი პირები - 22 (13 დადებითი, 5 ჯარიმა, 1 გაფრთხილება, 3 შეწყდა), სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების ხელმძღვანელი პირები - 15 (4 დადებითი, 1 გაფრთხილება, 9 ჯარიმა, 1 შეწყდა), მუნიციპალიტეტების თანამდებობის პირები - 109 (37 დადებითი, 15 გაფრთხილება, 57 ჯარიმა), აღმასრულებელი ხელისუფლების და სხვა თანამდებობის პირები - 117 (53 დადებითი, 52 ჯარიმა, 9 გაფრთხილება, 3 შეწყდა).


მონიტორინგის ფარგლებში სრულყოფილად იქნა შესწავლილი შერჩეულ თანამდებობის პირთა დეკლარაციები, მოხდა მათი შედარება სახელმწიფო დაწესებულებების მიერ ადმინისტრირებულ ელექტრონულ ბაზებში დაცულ მონაცემებთან და თანამდებობის პირების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან, რის შედეგადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თითოეულ თანამდებობის პირზე ჩატარებული წარმოების ფარგლებში.

დეკლარაციების შემოწმების ფარგლებში გამოვლენილი ძირითადი დარღვევები, შედარებით მსუბუქი ხარისხისაა წინა წლებში გამოვლენილ დარღვევებთან მიმართებით. შემცირდა უარყოფითად შეფასებული დეკლარაციების რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი თითქმის განახევრდა. აღსანიშნავია, რომ თავად

დარღვევის ფორმებიც და ხარისხიც ბევრად უფრო მსუბუქია წინა წლებთან შედარებით.

2021 წლის განმავლობაში შემოწმებული 303 თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაციიდან: დადებითად შეფასდა 130 დეკლარაცია, დაჯარიმდა - 133 თანამდებობის პირი, გაფრთხილება მიეცა - 32 თანამდებობის პირს, პროკურატურაში გადაიგზავნა - 1 თანამდებობის პირის დეკლარაცია და მონიტორინგი შეწყდა - 7 თანამდებობის პირის დეკლარაციაზე, რის მიზეზსაც წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მათი თანამდებობიდან გათავისუფლების მომენტიდან ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შერჩევამდე გასულია ერთ წელზე მეტი ვადა და არ წარმოადგენდნენ "საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრულ თანამდებობის პირებს.

დეკლარაციების მონიტორინგის შედეგების პროცენტული გადანაწილება იხ. დიაგრამა 1.



დიაგრამა 1. მონიტორინგის შედეგები 303 დეკლარაციის შემოწმების შემდეგ


2021 წლის განმავლობაში უარყოფითად შეფასებული თანამდებობის პირების დეკლარაციების შეფასების კრიტერიუმები შემდეგნაირად გადანაწილდა - 166 უარყოფითად შეფასებული დეკლარაციიდან:

- 44%-ს დარღვევა ჰქონდა უძრავი ქონების ნაწილში, სადაც გამორჩენილი იყო უძრავი ქონება ან/და არასწორად იყო მითითებული უძრავი ქონების რეალური ფართი;
- 62% შემთხვევებში არასწორად ან/და შეცდომით სხვა თარიღის მონაცემით იყო მითითებული საბანკო ანგარიშზე არსებული ნაშთი, ასევე არ იყო მითითებული მულტისავალუტო ანგარიშების შემთხვევაში სხვა ვალუტის ანგარიშები ან/და გამორჩენილი იყო ძველი საბანკო ანგარიშები;
- 28% დეკლარაციაში არ იყო დადეკლარირებული სამეწარმეო საქმიანობა ან არ იყო მითითებული ძველი საწარმოები, რომლებსაც ბოლო 3 წლის განმავლობაში ბრუნვა არ ჰქონიათ;
- 36% არ ქონდა სწორად დაანგარიშებული ხელშეკრულებით მიღებული მატერიალური შედეგი, ან არ იყო დადეკლარირებული ხელშეკრულება, რომლის ღირებულებაც აღემატება კანონმდებლობით დადგენილ დეკლარირებისათვის სავალდებულო ზღვარს;
- 54%-ს დარღვევა ჰქონდა საანგარიშო პერიოდში მიღებული შემოსავლის არასწორად დადეკლარირების გამო;
- 76% დეკლარაციების უარყოფითად შეფასდა ოჯახის წევრების მონაცემების არასწორად მითითების გამო;
- 19% თანამდებობის პირების დეკლარაციების უარყოფითად შეფასება განაპირობა მათ მიერ დოკუმენტაციის კანონით დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობამ.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> დეკლარაციათა უმეტეს ნაწილში ფიქსირდებოდა აღნიშნული დარღვევების ერთობლიობა და დეკლარაცია უარყოფითად ფასდებოდა მასში სხვადასხვა მონაცემის არასწორად დაფიქსირების გამო.

2021 წლის განმავლობაში განცხადებით მოთხოვნილ იქნა 47 თანამდებობის პირის დეკლარაციის შემოწმება, საიდანაც დასაბუთებული განცხადების საფუძველზე შემოწმდა 21 თანამდებობის პირი (დადებითად შეფასდა 4 დეკლარაცია, დაჯარიმდა - 17 თანამდებობის პირი). (იხ. დიაგრამა 2).




**დიაგრამა 2.** შემოსული დასაბუთებული განაცხადი და დაწყებული მონიტორინგი.

შემთხვევითი შერჩევის სისტემით შერჩეული თანამდებობის პირებიდან შემოწმდა 282 დეკლარაცია, საიდანაც დადებითად შეფასდა - 126, დაჯარიმდა - 116, გაფრთხილდა - 32, წარმოება შეწყდა - 7 შემთხვევაში და პროკურატურაში გადაიგზავნა - 1 თანამდებობის პირზე ინფორმაცია. ამასთანავე, 2021 წლის განმავლობაში შემოწმებულ თანამდებობის პირთა შორის მონიტორინგი განხორციელდა 25 საიდუმლო თანამდებობის პირზე, საიდანაც: დადებითად შეფასდა - 8, დაჯარიმდა - 14, გაფრთხილდა - 2, წარმოება შეწყდა - 1 შემთხვევაში.


გენდერულ ჭრილში, თანამდებობის პირთა ექონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის შედეგები შემდეგნაირად განაწილდა: მონიტორინგის პროცესში შემოწმდა 62 (20%) ქალი და 241 (80 %) კაცი თანამდებობის პირი, საიდანაც ქალების შემთხვევაში დაჯარიმდა - 23, გაფრთხილდა - 4, დადებითად შეფასდა - 33 და წარმოება შეწყდა - 2 შემთხვევაში; ხოლო კაცის შემთხვევაში დაჯარიმდა - 110, გაფრთხილდა - 28, დადებითად შეფასდა - 97, წარმოება შეწყდა - 5 შემთხვევაში და

ერთ თანამდებობის პირზე მონაცემები სამართალდამცავ ორგანოში გადაიგზავნა. ქვემოთ მოცემულია დეკლარაციების მონიტორინგის შედეგების გენდერულ ჭრილში პროცენტული გადანაწილება (იხ. დიაგრამა 3).



**დიაგრამა 3.** დეკლარაციების მონიტორინგის შედეგების გენდერულ ჭრილში პროცენტული გადანაწილება.

2021 წლის მონიტორინგმა აჩვენა, რომ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ განხორციელებულმა აქტივობებმა თანამდებობის პირთა დეკლარაციების მონიტორინგის სფეროში პოზიტიური შედეგი გამოიღო, რასაც მოწმობს ციფრებიც. კერძოდ, 2017-2018 წლების მონიტორინგის შედეგად უარყოფითად შეფასდა შემოწმებულ დეკლარაციათა 80%, ხოლო 2019-2020 წლის მონიტორინგის შედეგების თანახმად აღნიშნულმა მაჩვენებელმა დაიწია საშუალოდ 55%-მდე. რაც შეეხება 2020-2021 წლების შედეგების შედარებას, დადებითად შეფასებული დეკლარაციების პროცენტული მაჩვენებელი 38%-დან გაიზარდა 43%-მდე, ხოლო დაჯარიმებულ თანამდებობის პირთა რაოდენობა 2020 წელთან შედარებით 51%-დან შემცირდა 44%-მდე. რაც შეეხება გაფრთხილების ოდენობას, 2021 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა 2%-ით. (იხ. დიაგრამა 4).



**დიაგრამა 4.** დეკლარაციების მონიტორინგის შედეგების შედარება 2020-2021 წლების მიხედვით.

მონიტორინგის შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ დადებითად შეფასებულ თანამდებობის პირთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, რაც განპირობებულია ანგარიშვალდებულების ხარისხის ზრდით, დეკლარირების პროცესის მიმართ თანამდებობის პირების მიერ მეტი პასუხისმგებლობის გამოჩენით და სურვილით, სრულყოფილად და სწორად ასახონ დეკლარაციაში მათი ქონებრივი მონაცემები. უმეტეს შემთხვევაში დეკლარაციაში დაშვებული შეცდომა უკავშირდება თანამდებობის პირის ოჯახის წევრის მონაცემების არასწორად ასახვას, რაც ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია მათი მხრიდან დეკლარანტისთვის დაუზუსტებელი ინფორმაციის მიწოდებით.

ამ ეტაპზე ბიუროში შემოსულია განცხადება და მიმდინარეობს დასაბუთებულობის შემოწმება 62 თანამდებობის პირის დეკლარაციასთან დაკავშირებით, რომელთა მონიტორინგი განხორციელდება 2022 წელს.

ასევე, 3 თანამდებობის პირზე შეწყდა გამოძიება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის არარსებობის გამო. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჯარო სამსახურის ბიურომ უფლებამოსილების ფარგლებში მოახდინა რეაგირება და ხსენებული თანამდებობის პირები დაჯარიმდნენ დეკლარაციაში არასრული და არასწორი მონაცემების შეტანის გამო.

წლის განმავლობაში შესამოწმებელი თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შერჩევითი დამოუკიდებელი კომისიის შექმნის მიზნით, ბიუროს მიერ გამოცხადებულ მოწვევაზე, 2021 წელს სამმა არასამთავრობო ორგანიზაციამ წარმოადგინა განაცხადი, ხოლო აკადემიური წრის არცერთ წარმომადგენელს არ შემოუტანია განაცხადი, რის გამოც კომისია ვერ შეიქმნა და შესაბამისად, ბიუროს მიერ 2022 წელს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგი განხორციელდება მხოლოდ შემთხვევითი შერჩევის პრინციპისა და დასაბუთებული წერილობითი განცხადების საფუძველზე.

ბიურო კვლავ განაგრძობს მუშაობას, როგორც ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის დეკლარირების, ასევე დეკლარირებული მონიტორინგის პროცესის დახვეწის მიზნით, რათა დანერგოს დამატებითი პრევენციული მექანიზმები. ამ მხრივ საყურადღებოა კრიპტოვალუტა და მის ფლობასთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირება, საერთაშორისო სტანდარტების და გამოცდილების შესაბამისად.

2022 წელს თანამდებობის პირების ქონებრივი მდგომარეობის მონიტორინგის სისტემის სრულყოფისთვის, საჯარო სამსახურის ბიუროს მხრიდან დაგეგმილია რიგი აქტივობები. კერძოდ, იგეგმება მონიტორინგის ელექტრონული სისტემის ანალიტიკური და სტატისტიკური მონაცემების დახვეწა, რათა ერთი მხრივ კიდევ უფრო გაიზარდოს თანამდებობის პირების დეკლარაციების მონიტორინგის ეფექტიანობა და მეორე მხრივ, საზოგადოებას მიეწოდოს სრულყოფილი და გამჭვირვალე სტატისტიკური მონაცემები. ასევე, ბიუროს მიერ დაგეგმილია



თანამდებობის პირების ცნობიერების ამაღლების მიზნით შესაბამისი თემატური აქტივობები.

დანართის სახით მოცემულია მონიტორინგის შედეგები თანამდებობის პირების მითითებით.